პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 238 (4748) 2 დეკემბერი, შაბათი, 1972 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საკავშირო ჩემპიონატებზე...

### ... ბაქოში

მოჭადრაკე ვაჟთა მე-40 ჩემპიონატის IX ტურში მწვავე, მაგრამ თანაბარი ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა რ. ჯინჯიხაშვილ (თბილისი) — მ. ტალის (რიგა) შეხვედრა. „საზავო ხელშეკრულების“ დადებით დამთავრდა, აგრეთვე, პარტიები: ი. ბალაშოვი (მოსკოვი) — გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), ვ. ტუკმაკოვი (ოდესა) — ა. კაპენგუტი (მინსკი).

დ. ბრონშტეინმა (მოსკოვი) ცაიტნოტში აჯობა ვ. ჟიდკოვს (კიევი): მისმა ცენტრალურმა პაიკმა შებოჭა მეტოქის ფიგურები. კიეველ ოსტატს საათზე ალამი ჩამოუვარდა და წაგება ჩაეთვალა.

ტურნირის ყველაზე ხნიერმა მონაწილემ ს. ფურმანმა (ლენინგრადი) ცენტრში დროული გარღვევით რ. ხოლმოვს (მოსკოვი) პაიკი მოუგო, რაც გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა. ლ. ალბურტმა (ოდესა) სძლია ნ. რაშკოვსკის (კურგანი).

ხუთი შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა.

X ტურში ტალმა მარჯვედ ითამაშა ვ. სავონის (ხარკოვი) წინააღმდეგ და მესამე პარტია მოიგო. პირველად დამარცხდა ა. ლეინი (მოსკოვი), რომელსაც ბალაშოვმა მოუგო.

პარტიები: ე. გუფელდი (თბილისი) — ჯინჯიხაშვილი და ვ. ბაგიროვი (ბაქო) — მ. მუხინი (ალმა-ათა) ყაიმით დამთავრდა.

ექვსი პარტია გადაიდო.

10 ტურის შემდეგ ლიდერობს მ. ტალი — 6,5 ქულა.

### ... ტოლიატიში

ქალთა ჩემპიონატშიც, როგორც წესი, შეჯიბრების დასკვნითი, XIX ტურის წინ გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო.

თ. ბელოვამ (ფსკოვი) დაამარცხა ი. ლევიტინა და ყაიმზე შეუთანხმდა ვ. ბაჟინას (ორივე — ლენინგრადი). ა. კისლოვამ (ომსკი) სამ პარტიაში 2 ქულა მიიღო: მოუგო ლ. შადურას (კურსკი) და ლ. იდელჩიკს (ხარკოვი), წააგო მ. რანიკუსთან (ტალინი). ვ. ბორისენკომ (ტაშკენტი) და მ. სამულმა (ტალინი) 1,5-1,5 ქულა დააგროვეს: პირველმა სძლია ა. ეპშტეინს (გორკი) და დაუზავდა ნ. მედიანიკოვას (მოსკოვი), მეორემ — მოუგო ბაჟინას და ყაიმზე შეუთანხმდა ეპშტეინს. ლ. საუნინამ (სვერდლოვსკი) გაიმარჯვა ლ. შჩერბინასთან (სევასტოპოლი) და წააგო ო. ანდრეევასთან (ხარკოვი). ლ. სემიონოვამ (კიევი) მოუგო იდელჩიკს.

შედგა ორი გამოტოვებული პარტია: ე. რუბცოვა (მოსკოვი) და ა. მკრტჩიანი (ალმა-ათა) ყაიმზე შეთანხმდნენ, ხოლო მ. შულ (ლვოვი) — ვ. კოზლოვსკაიას (პიატიგორსკი) შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა. ამ პარტიაში ბრძოლა მეორე დღეს განახლდა. კოზლოვსკაიამ შულთან მოგების შანსი ვერ გამოიყენა და ყაიმს დასჯერდა, ანდრეევასთან კი დამარცხდა.

ყაიმით დამთავრდა ნ. კონოპლიოვა — რუბცოვას შეხვედრა. შულმა სძლია რანიკუს და დაუზავდა საუნინას.

დასკვნითი, XIX ტურის წინ ნ. კონოპლიოვასა და მ. შულს 11-11 ქულა აქვთ, ი. ლევიტინასა და ვ. კოზლოვსკაიას — 10,5-10,5, ო. ანდრეევას, თ. ბელოვას, ვ. ბორისენკოს, ა. კისლოვას, ლ. საუნინასა და ლ. სემიონოვას — 10-10.

## სპორტლოტო

### 33-ე, თბილისური...



გუშინწინ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კლუბში თავი მოიყარეს პოპულარული სპორტული ლატარიის „სპორტლოტოს“ მოყვარულებმა. ხალხით სავსე დარბაზი მოუთმენლად ელოდა 33-ე ტირაჟის დაწყებას.

სატირაჟო კომისიის წევრებმა დ. ქლიბაძემ და მ. ჯულელმა „სპორტლოტოს“ დოლურში 49 ბურთი ჩაყარეს.

კომისიის თავმჯდომარემ, თბილისის ორჯონიკიძის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ თ. ბადურაშვილმა პირველი ბურთის ამოღების უფლება ოლიმპიურ ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვ. სანეევს მისცა.

35, სპილენი — ასეთი იყო პირველი ბურთის ნომერი და სახელობა.

მეორე ბურთი ამოიღო ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ზ. საკანდელიძემ — 11 (ველოსპორტი).

ბურთი ამ ნომრით — 30 (აფროსნობა) სატირაჟო დოლურში ამოარჩია თბილისის სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის ბრიგადირმა ა. ხუნდაძემ.

შემდეგი ბურთები ამოიღეს ნორჩმა სპორტსმენებმა, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელებმა თ. ნერგაძემ, ა. წულაძემ და რ. ჯოჯუამ.

33-ე ტირაჟის საბოლოო შედეგები ასეთია: 11 (ველოსპორტი), 23 (მძლეოსნობა), 30 (აფროსნობა), 31 (ცურვა), 35 (სპილენი), 43 (ფარიკაობა).

**ი. ლოპატკინი,**
„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.

* * *

**სურათზე:** ვ. სანეევი აცხადებს პირველი ბურთის ნომერს.

ავტორის ფოტო.

## საკლესი მოგვითხრობს

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

### მშენებლები მწვერვალებს უტევენ

ალმა-ათის სახლმშენებელი კომბინატის მთამსვლელებმა დაიპყრეს თალგარის პიკი ზაილიის ალათაუში. ეს მათთვის მეორმოცე აღებული მწვერვალია. „ხუთიათასიანზე“ ასვლა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მოეწყო დასავლეთის კედლით.

საწარმოს მთამსვლელებს მარტო ტიან-შანის მთები როდი აქვთ დაპყრობილი. ისინი ავიდნენ პამირის რამდენიმე მწვერვალზეც, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 6000 მეტრზე მეტია. კარგი მთამსვლელები არიან სანტექნიკოსი ი. შამაკოვი, ელექტროშემდუღებელი ვ. ზახარჩენკო, მუშა თ. ჩერკასოვა, ინჟინერი ვ. ბაბუშკინი, კომბინატის ორმოცზე მეტი სხვა მუშაკი. შოფერი ა. ისაკოვი, ინჟინერი ი. ჩერეპენსკი, ავტომწის შოფერი ა. ვოლკოვი კომუნიზმის პიკის იერიშში მონაწილეობდნენ.

ახლა კომბინატის მთამსვლელები ემზადებიან დეკემბრის ალპინიადისთვის, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნება.

ალმა-ათა.

### ტრადიციის განახლება

ჩატარდა ყირგიზეთის II რესპუბლიკური სპარტაკიადა სპორტის ეროვნულ სახეობებში. სარბიელზე სხვადასხვა თაობის ხალხი გამოვიდა. მაგალითად, ორდოში (კოჭაობა) პანფილოვის სახელობის კოლმეურნეობის კომორგს ტ. იმანბეკოვს ეჯიბრებოდა 73 წლის პენსიონერი კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობიდან შ. ბაიტალიევი. ამ უკანასკნელმა ყველას აჯობა პირველ ასეთსავე სპარტაკიადაში, რომელიც 23 წლის წინ გაიმართა.

ჩემპიონები უმეტესად სოფლის მეურნეობის მუშაკები არიან. ოოდარიშში (ცხენოსანთა ბრძოლა) გაიმარჯვეს მოსკოვის რაიონის წარმომადგენელმა, მეჯოგე ტ. რაიმკულოვმა, სუზაკის რაიონის ვეტერინარმა ა. ალიმკულოვმა, მწყემსებმა მ. ატაშევმა (ყარასუის რაიონი) და ჯ. ამანბაევმა (ნაუკატის რაიონი). ორდოში ყველას აჯობა დედაქალაქის ნაკრებმა, რომლის სახელსაც იცავდნენ მეცნიერებათა აკადემიის, ყირგიზეთის სახელმწიფო ფილარმონიისა და სხვა დაწესებულებათა მუშაკები.

საერთო გუნდური გამარჯვება მოიპოვა ტალასის, კიროვის, კალინინისა და მოსკოვის რაიონების ნაკრებმა.

რესპუბლიკური სპარტაკიადები ეროვნულ სახეობებში ამიერიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდება.

ფრუნზე.

### ყინულზე... სადალაქოს გავლით

ჰოკეიში ლატვიის ჩემპიონატის პირველივე მატჩების დროს იქვე სარბიელთან გაიხსნა... „სასწრაფო სადალაქო დახმარების“ პუნქტი.

შეჯიბრების დებულების შესაბამისად, მსაჯებს უფლება აქვთ მოედანზე არ გაუშვან წვერგაუპარსავი, თმამოშვებული და უშნოდ ჩაცმული მოთამაშეები. პირველი „დაისაჯა“ რიგის ვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდის თავდამსხმელი ბ. გუნარი, რომელიც გულმოდგინედ ცდილობდა გრძელი დალალები ჩაფხუტში შეემალა. მაგრამ ჰოკეისტმა გუნდის ინტერესები უფრო მაღლა დააყენა და იქვე შეიმოკლა თმა. ამ „თავგანწირვას“ უქმად არ ჩაუვლია: ვაგონშემკეთებლებმა გაიმარჯვეს.

კიდევ კარგი, ჰოკეის სიყვარული მოდაზე ძლიერი აღმოჩნდა. მაკრატლის დახმარება სხვა მოთამაშეებსაც დასჭირდათ. ორი დღის მანძილზე იქვე საციგურაოზე ხუთმა სპორტსმენმა გაიარა დალაქის ხელში.

ე. კეხრისი.

რიგა.

## ლეგენდარული კერესი

სან-ანტონიო (ტეხასის შტატი), 30 ნოემბერი. აქ გრძელდება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

VIII ტურში ვ. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) კვლავ გაიმარჯვა: ამჯერად კ. სმითთან (აშშ) შეხვედრაში. ტურნირის უხუცესმა მონაწილემ, 56 წლის კერესმა (სსრ კავშირი) 32 სვლაში ფარ-ხმალი დააყრევინა დ. ბირნს (აშშ). ა. კარპოვი (სსრ კავშირი) ყაიმზე შეუთანხმდა ს. გლიგორიჩს (იუგოსლავია), ტ. პეტროსიანი (სსრ კავშირი) — ხ. კაპლანს (პუერტო-რიკო) და. ე. მეკინგი (ბრაზილია) — დ. სათლზს (კანადა).

სამი პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

8 ტურის შემდეგ პ. კერესს 7 ქულა აქვს, ა. კარპოვს — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია, ტ. პეტროსიანსა და ვ. ჰორტს — 5-5 ქულა.

## [illegible]-72

● ევლე (შვეცია), 29 ნოემბერი. აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩი — ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ბრიუნესისა“ და მოსკოვის ცსკა-ს ჰოკეისტთა გუნდები. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 8:2.

● ჩერეპოვეცი, 29 ნოემბერი. სსრ კავშირის ჭაბუკი ჰოკეისტების ნაკრებმა „მეგობრობის“ ტურნირის ფინალურ მატჩში ანგარიშით 8:3 სძლია გდრ-ის გუნდს და I ადგილიც დაისაკუთრა. III ადგილზე გავიდა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, რომელმაც ბრინჯაოსთვის ბრძოლაში პოლონელები დაამარცხა — 4:2.

## 19 4/5

◆ სან-ანტონიო, 1 დეკემბერი. აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში პირველად დამარცხდა ახალგაზრდა საბჭოთა მოჭადრაკე კარპოვი. პორტიშთან შეხვედრაში მან შავებით ინდური დაცვის ძნელი ვარიანტი აირჩია, მეფის ფლანგზე მეტოქის შეტევა ვერ მოიგერია და წააგო. პეტროსიან— კერესის პარტია მე-13 სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ასევე დაზავდნენ ბირნი და მეკინგი. სათლზმა მოუგო სეიდის, ევანსმა — სმითს. ლარსენმა უპირატესობით გადადო პარტია ჰორტთან. ასევე დაუმთავრებელი დარჩა პარტიები: გლიგორიჩი — კაპლანი და კამპოს-ლოპესი — ბრაუნი. 9 ტურის შემდეგ კერესს 7,5 ქულა აქვს, კარპოვს — 6 (1), პეტროსიანსა და სათლზს — 5,5-5,5.

## ცნობები სოციალისტური ქვეყნებიდან

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის გამომცემლობა „ოლიმპია“ გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტთან“ ერთად გაისად საბჭოთა სპორტული ლიტერატურის გამოფენას აწყობს. აქ წარმოდგენილი იქნება სამასზე მეტი წიგნი და ბროშურა, აგრეთვე, სხვა მასალები, რაც მნახველებს სსრ კავშირში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გზას გააცნობს.

ორმა გამომცემლობამ ხელშეკრულება დადო უფრო მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ.

ბერლინი. აზიისა და აფრიკის 19 ქვეყნის 72 წარმომადგენელს, მათ შორის, ოთხ ქალს, ლაიპციგში გერმანიის ფიზიკური კულტურისა და სპორტის უმაღლეს სკოლასთან არსებული მწვრთნელთა საერთაშორისო კურსების დიპლომები გადაეცა. რვა თვის განმავლობაში მათ არა მარტო კარგი პრაქტიკული ჩვევები მიიღეს სპორტის ცალკეულ სახეობებში, არამედ ღრმა თეორიული ცოდნაც შეიძინეს.

სკოლის რექტორმა, პროფესორმა გ. შტილერმა დიპლომების გადაცემის დროს თქვა:

— ლაიპციგის კურსები უცხოელი მწვრთნელებისთვის არის ხალხთა მეგობრობის სიმბოლო, სოციალისტურ ქვეყნებს, აგრეთვე, აზიისა და აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებს შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის დასტური.

ბუქარესტი. „რუმინეთის რივიერაზე“, კონსტანცაში, პირველი ხელოვნური საციგურაო გაიხსნა. მისი ფართობი 60×30 მეტრია, ტრიბუნები 2 ათასამდე მაყურებელს იტევს.

წინა კვირაში ახეთივე საციგურაო მწყობრში ჩადგა ქალაქ სიბიუში. ზაფხულში ამ საციგურაოებს გორგოლაჭებით სავარჯიშოდ გამოიყენებენ.

ბოლო წლებში რუმინეთში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ციგურაობას. მარტო წლეულს, როცა ამ ქვეყანაში მოციგურავეთა პირველი ასოციაციის 100 წლისთავი აღინიშნება, ხელოვნური საციგურაოები გაჩნდა ბუქარესტში, გალაცში, კლუჟში, ბრაშოვში და სხვაგან.

საკლესი მოგვითხრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რბენა ჯანმრთელობისთვის

ადამიანის ჯანმრთელობისთვის ბრძოლაში სულ უფრო ნათელი ხდება რბენის უდავოდ დიდი მნიშვნელობა. მზარდმა ტექნიკამ და საწარმოთა ავტომატიზაციამ ფიზიკური შრომა მინიმუმამდე დაიყვანა. ადამიანი ახლა თითქოს მიჯაჭვულია სკამთან, ამიტომაც უმრავლესობას კატასტროფულად უმცირდება მოძრაობითი აქტიურობა.

ნაკლებად მოძრავ ცხოვრებას თან ერთვის საკვების სიჭარბე. ორგანიზმი მიღებულ საკვებს მთლიანად ვერ იხმარს, ვინაიდან დაქვეითებულია ნივთიერებათა ცვლა და მიღებული ენერგეტიკული მასალა ჭარბობს მოხმარებულს, რაც ზედმეტი ცხიმის დაგროვებას იწვევს. სიმსუქნე დღეს უმოკლებს ადამიანს. მსუქანი ადამიანები ადვილად ავადდებიან და ცუდად გადააქვთ ტრავმები. ისინი ხშირად უჩივიან დაღლას, სისუსტეს, ძილისადმი მიდრეკილებას და შრომისუნარიანობის საერთო დაქვეითებას. გასუქებისადმი სწრაფი მიდრეკილება პირველ ყოვლისა იპყრობს გულს, რომელიც თანდათანობით ეხვევა ქონში, რის გამოც გულის კუნთის მოცულობა მცირდება, ირღვევა გულის კუნთის კვების რეჟიმი... გასუქებასთან ერთად ფართოვდება სისხლძარღვთა საერთო კალაპოტი და დასუსტებულ გულს უხდება გაძლიერებული მუშაობა ქონის დიდი მასის მოსარწყავად.

მუცლის ღრუს არეში დიდი რაოდენობით დაგროვილი ქონი დიაფრაგმას აწვება და მაღლა სწევს, რაც სუნთქვის აქტის დარღვევას — გახშირებას იწვევს. ამასთან, გული ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადადის.

სიმსუქნის წინააღმდეგ საბრძოლველად არ კმარა, როგორც ამას ზოგიერთი მიმართავს, კვების ნორმის შემცირება. ზედმეტი წონის დაკლებისთვის ერთ-ერთი ძირითადი და აუცილებელი პირობაა ენერგიის ხარჯვა — მოძრაობა. დავიცავთ რა კვების რეჟიმს, არ უნდა დავივიწყოთ ისეთი პროფილაქტიკური საშუალებაც, როგორიცაა ფიზიკური ვარჯიში — განსაკუთრებით, სირბილი.

სირბილი აქტიურებს ნივთიერებათა ცვლას და ჟანგვითს პროცესს ორგანიზმში. მოსვენება და მოძრაობა, ორი სხვადასხვა პოლუსი, განსაზღვრავენ ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების ხასიათს, განსაკუთრებით, გულის, ფილტვების, საჭმლის მომნელებელი, ნერვული და კუნთური სისტემების მოქმედებას. მოსვენება და მოძრაობის შეზღუდვა საშუალო ასაკის ადამიანებისა და განსაკუთრებით ხანში შესულთათვის, ხორცეულისა და ცხიმოვანი პროდუქტების უხვი მიღება, აგრეთვე, სპირტიანი სასმელების გამოყენება ხელს უწყობენ სკლეროზული პროცესის დაჩქარებას.

უმოქმედობით უჯრედში ირღვევა ქსოვილშიგა სუნთქვა, ჟანგვითი პროცესი. ამას მივყავართ უჯრედის გადაგვარების დაწყებამდე, რაც თავის მხრივ ახალ დაავადებას იწვევს.

არავითარ წამალს არ ძალუძს ისე იმოქმედოს და შეაჩეროს ავადმყოფობა, როგორც სირბილს. რაც უფრო მეტად მოძრაობს ორგანიზმი, მით უფრო ნაკლებია სენის გამოვლინება.

სირბილის პროცესში გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემები იძულებული არიან მომუშავე კუნთს მიაწოდონ ჟანგბადით მდიდარი სისხლი. მაღლდება ორგანოთა მოქმედება და, რაც მთავარია, ნივთიერებათა ცვლა.

აღსანიშნავია, რომ ქოლესტერინის რაოდენობა სისხლში სირბილის ზეგავლენით საგრძნობლად მცირდება და ნორმის ფარგლებში რჩება. შინაგანი სეკრეციის ჯირკვალთა მოქმედება, რაც ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს ნივთიერებათა ცვლაში, ძლიერდება.

სირბილში რეგულარული ვარჯიშით შეიძლება სახსართა ძვრადობის ხრა მარტო შენარჩუნება, არამედ დაკარგულის აღდგენა. ხანგრძლივ თანაბარ ტემპში სირბილი აუმჯობესებს ნერვულ სისტემას. სირბილი იწვევს სუნთქვის გაღრმავებას, ღრმა რიტმული სუნთქვა კი გულის თავისებური მასაჟია.

ერთი სიტყვით, სირბილი ძალიან კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა,



ოღონდ, ეს „წამალი" ბოროტად როდი უნდა გამოვიყენოთ. გავითვალისწინეთ რა ყველა ზემოჩამოთვლილი ფაქტორი და საქართველოს ბუნებრივი პირობები, თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონის დირექციისა და იქვე არსებული საექიმო-სამკურნალო ფიზკულტურული დისპანსერის უშუალო დახმარებით ჩამოვაყალიბეთ ჯანმრთელობის ჯგუფი — „რბენა მხოლოდ ჯანმრთელობისთვის". მეცადინეობას კვირაში სამჯერ ვატარებთ, 2-2 საათით. ჯგუფში სამეცადინოდ მოსული სტადიონზე პირველ ყოვლისა საექიმო დისპანსერიზაციას გაივლის, რის შემდეგაც მთავარ ექიმ მ. თავდიშვილთან ერთად ვადგენთ რბენის დატვირთვის ინტენსიურობას, დოზირებას და ხანგრძლივობას. რასაკვირველია, პირველ ყოვლისა მხედველობაში გვაქვს პაციენტის ფიზიკური მომზადების დონე და ავადმყოფობის ხარისხი.

ექიმი და, რაც მთავარია, ჯგუფის წევრები ჯგუფის მუშაობის ორი წლის მანძილზე მიღწეულით დიდად კმაყოფილი არიან. მომეცადინეები თავს მხნედ და ჯანმრთელად გრძნობენ. მაგალითად, კავკასიის სოფლმშენის სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი მ. გომერი ვარჯიშის დასაწყისში 92 კილოგრამს იწონიდა, 8 თვის შემდეგ კი წონა 83 კგ-მდე დავიდა. აღსანიშნავია, რომ გომერი კვების რეჟიმს ვერ იცავდა. ექიმი ვარჯიშის ნებას არ რთავდა, ვინაიდან მაჯისცემის სიხშირე წუთში 105-ს უდრიდა, გაუარესებული იყო სისხლის წნევა — 135—95. მიუხედავად ამისა, ექიმის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ვარჯიში დიდი სიფრთხილით დავიწყეთ. შედეგმაც არ დააყოვნა: უკვე მეოთხე თვეზე პულსმა 80-მდე დაიწია, ხოლო წნევა 130—85 იყო. 49 წლის გომერი ახლა შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია. პულსი მოსვენებულ მდგომარეობაში წუთში 52 დარტყმას უდრის, ხოლო წნევა 110—70-ს. ერთ ვარჯიშზე იგი თავისუფლად დარბის 10-15 კმ-ზე.

ჯგუფის მეორე წევრი „საქსოფლმშენსახპროექტის" ტოპოგრაფიული პარტიის უფროსი გ. ნიკოლეიშვილი 40 წლისაა. მას აწუხებდა ყრუ ჩხვლეტა გულის არეში, პულსის სიხშირე წუთში 82-ს უდრიდა. წონა ნორმალურს საგრძნობლად აღემატებოდა. წვრთნის მეხუთე თვეზე წონა 75 კილოგრამამდე დავიდა, პულსის სიხშირე — წუთში 50-52, გაქრა გულის არეში ყოველგვარი ჩხვლეტა. ნიკოლეიშვილი თავისუფლად დარბის 20-25 კმ-ზე. დაღლა, როგორც თვითონ ამბობს, მასში სასიამოვნო შეგრძნებას იწვევს.

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელი მზია გოქაძე 31 წლისაა. იგი ჯგუფში ზედმეტმა წონამ (92 კგ) მოიყვანა. მზიამ მკაცრად დაიცვა მითითებული კვების რეჟიმი (საკვებში შეამცირა სახამებლის და ცხოველური წარმოშობის ცხიმის რაოდენობა, ზომიერ ფარგლებში შეზღუდა ნახშირწყლებისა და სითხის მიღება), თან რეგულარულად ვარჯიშობს. შედეგიც განსაცვიფრებელია: შვიდ თვეში 15 კგ დაიკლო. წონის დაკლება მოხდა ზომიერ ფარგლებში ისე, რომ შრომისუნარიანობა კი არ დაქვეითებულა, ამაღლდა. ამჟამად მზიას თავისუფლად შეუძლია 3 კილომეტრის გარბენა.

**ჯ. ხუბუა,**
ჯგუფის ხელმძღვანელი.

• • •

სურათზე: ჯგუფის წევრები გ. ნიკოლეიშვილი, მ. გომერი და სამხატვრო აკადემიის მასწავლებელი გ. ცხოვრებაძე მორიგი ვარჯიშის დროს.

ავტორის ფოტო.

# ბარაქიანი სეზონი

ჩვენი მოფარიკავეები წლევანდელ სეზონს ვერ დაემდურებიან. ამ მოკლე ხანში გაიმართა რამდენიმე საგულისხმო შეჯიბრება, რომლებშიც თავიანთი ძალა ახალგაზრდა მუშკეტერებმა მოსინჯეს. ეს განსაკუთრებით სასიხარულოა, რადგან ასეთ შეჯიბრებებში იზრდებიან და ოსტატდებიან ჩვენი მომავალი მოფარიკავეები.

სულ ახლახან კი თბილისის საფარიკაო დარბაზში გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო სამატჩო შეხვედრა: საქართველო — უნგრეთი.

უნგრული საფარიკაო სკოლა რეკომენდაციას არ საჭიროებს. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ უნგრელმა ჯადოქრებმა თანამედროვე ფარიკაობის განვითარებასა და პოპულარიზაციაში დიდზე დიდი როლი შეასრულეს. დიახ, სწორედ უნგრულმა საფარიკაო სკოლამ გამოუზარდა მსოფლიოს ისეთი ვარსკვლავები, როგორიც იყვნენ ლეგენდარული კარპატი, უბერებელი გერევიჩი, ელეგანტური კოვაჩი... უნგრელთა ფარიკაობა განსაკუთრებით გამოირჩევა დახვეწილი ტექნიკით, ტაქტიკური არსენალის მრავალფეროვნებითა და, განსაკუთრებით, ბრძოლის ულამაზესი მანერით. ამ მხრივ უნგრელები დღესაც ერთ-ერთი უპირველესი კანონმდებლები არიან სპორტის ამ მიმზიდველი სახეობისა. ამიტომ ნებისმიერი შეჯიბრებები უნგრელთა მონაწილეობით ძალიან დიდ ინტერესს იწვევს.

... თბილისში უნგრელთა პირველხარისხოვანი გუნდი არ ჩამოსულა, მაგრამ რამდენიმე სპორტსმენმა მაინც გვიჩვენა შესაშური ოსტატობა. ეს განსაკუთრებით ითქმის ხმლით მოფარიკავეებზე. უნგრელმა სუპემმა ჩინებულად იასპარეზა და ფინალში ყველა შეხვედრა მოიგო. მისი I ადგილი დამსახურებული იყო.

ამ ტურნირში ბევრს მოველოდით ჩვენი რესპუბლიკის ესპადრონისტთა ლიდერის შარაშენიძისგან, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ამჯერადაც ვერ გამოავლინა სპორტული ხასიათი და VII ადგილს დასჯერდა. სამაგიეროდ, ახალგაზრდა მზარდმა ოსტატმა ესართიამ ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ II ადგილი არავისთვის დაეთმო. ეს სპორტსმენი მუდამ გამოირჩეოდა კარგი ფიზიკური მონაცემებით, მაგრამ საფარიკაო ტექნიკის უკმარობა მაღალი შედეგების ჩვენებაში ხელს უშლიდა. ახლა შეიძლება ითქვას, ნიჭიერ მოფარიკავეს ეს პრობლემა ასე თუ ისე გადაუჭრია და აი, შედეგიც. უნგრელი ფიუტიუ მესამე იყო.

ძალიან საინტერესო გამოდგა რაპირისტ ვაჟთა ასპარეზობა (ქალები შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ).

ბოლო წლებში საკმაოდ აიმაღლა ოსტატობა რუსთაველმა ნოზაძემ. იგი სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების რეალური კანდიდატია და ამიტომ ყოველი მისი გამოსვლა სხვადასხვა შეჯიბრებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. მართლაც, ნოზაძე ტექნიკური და კარგი მონაცემების სპორტსმენი გახლავთ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დღეს იგი ჩვენს რაპირისტთა შორის აშკარად გამოირჩევა ფარიკაობის ლამაზი და აგრესიული მანერით, უყვარს და ეხერხება შეტევა, ძლიერია თავდაცვაშიც. მაგრამ სამატჩო შეხვედრაში ნოზაძე თავის შესაძლებლობებთან შედარებით ძალიან სუსტად გამოვიდა. იგიც შარაშენიძის დარად მხოლოდ VII ადგილზე გავიდა.

ამ სახეობაში I ადგილი დაისაკუთრა უნგრელმა კოვაჩმა.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა II ადგილზე გასულმა მათითაიშვილმა.

III საპრიზო ადგილისთვის დიდი დავა გაიმართა უნგრელ ტაკაჩსა და თბილისელ მაჩაიძეს შორის. საბოლოოდ ორივე სპორტსმენმა 8-8 მოგება დააგროვა (აქ ფინალში 12 სპორტსმენი გამოდიოდა), მაგრამ ჩხვლეტათა უკეთესი შეფარდებით უნგრელი სპორტსმენი პრიზიორი გახდა.

თუ კი რაპირასა და ესპადრონში პირველობა უნგრელებმა არ დათმეს, სამაგიეროდ, დაშნით ფარიკაობაში ქართველმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს. კარგა ხანია ასეთი მასშტაბის შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სიხარულიძეს და ზურაბიშვილს. ამიტომ საინტერესო იყო, როგორ გამოვიდოდნენ ისინი ტურნირში. უნდა ითქვას, რომ სიხარულიძემ ყველა ბრძოლა მაღალ დონეზე ჩაატარა და თორმეტკაციან ფინალში მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო. გამარჯვებულს მხოლოდ ერთი მოგებით ჩამორჩა ზურაბიშვილი. III ადგილი უნგრელმა ბოდოროკომმა დაისაკუთრა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ესპადრონისტთა გუნდურ ასპარეზობაში უნგრელებმა გაიმარჯვეს — 9:6. სამაგიეროდ, დიდი უპირატესობით დაამარცხეს სტუმრები დაშნით მებრძოლებმა — 9:4. ყველაზე საინტერესო და დაძაბული გამოდგა რაპირისტთა პაექრობა. აქ თავიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს ქართველმა სპორტსმენებმა და საბოლოოდ გაიმარჯვეს — 9:6.

მაშ ასე, საერთაშორისო სამატჩო შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 2:1 მასპინძელთა სასარგებლოდ.

**ა. გოგელია,**
სპორტის ოსტატი.

## კობას კიდევ ერთი სტარტი

*კიროვსკი, 29 ნოემბერი. სსრ კავშირის უძლიერესმა „მფრინავმა მოთხილამურეებმა" იმიერპოლარეთის ამ ქალაქში იასპარეზეს სეზონის გახსნის პრიზზე.*

*ჯილდო 23 წლის ვ. გალუშინს (პერმი) ხვდა — 228,6 ქულა (ნახტომები — 70 და 68 მ). II ადგილზეა ასევე პერმელი ს. ზონტოვი — 228,4 (69 და 69,5), III—მ. ვერეტენიკოვი (გორკი) — 227,0 (70 და 67).*

*ვეტერანმა კ. წაქაძემ (ბაკურიანი) კიდევ ერთი ახალი სეზონი დაიწყო. ამ 38 წლის უბერებელმა სპორტსმენმა IV ადგილი დაიკავა — 225,5 (69 და 68).*

*VI ადგილზეა მსოფლიო ჩემპიონი გ. ნაპალკოვი (გორკი) — 223,3 (64 და 71).*

## ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშები

### ორივეჯერ „მშრალი" ანგარიშით

თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა ძიუდოისტთა ტურნირი. ასპარეზობის პირველი დღე გუნდურ შეჯიბრებას დაეთმო. თავდაპირველად სარბიელზე გამოვიდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდები. ოთხი წონითი კატეგორიის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო. გამარჯვებული გუნდი მძიმე წონის მოჭიდავეთა შერკინებას უნდა დაესახელებინა. ს. მარქარიანმა (სომხეთი) ენერგიულად წარმართა ბრძოლა ტ. ასლანოვის (აზერბაიჯანი) წინააღმდეგ და მეორე წუთზე წმინდა გამარჯვებას მიაღწია.

საქართველოსა და სომხეთის ძიუდოისტთა ორთაბრძოლაში აშკარა იყო მასპინძლების უპირატესობა — 5:0. კარგი შთაბეჭდილება დატოვა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა ნ. სალთხუციშვილმა, რომელმაც თავისი მეტოქე ი. კარაბეკიანი მე-15 წამზე აიძულა დანებებულიყო. შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები. ეს შეხვედრაც ქართველმა ძიუდოისტებმა „მშრალი" ანგარიშით მოიგეს — 5:0.

პირად პირველობაში ამიერკავკასიის პირველი მეგობრული თამაშების ჩემპიონები (წონითი კატეგორიების მიხედვით) გახდნენ: ნ. სალთხუციშვილი, ვ. და ჯ. კბილაშვილები, თ. ხუბულური, მ. იობიძე.

**მ. ქოგელაშვილი.**

## ევროპის I ჩემპიონატის პრიზიორები

გთავაზობთ სამბისტთა პირველი ევროპული ჩემპიონატის პრიზიორთა სიას:

58 კგ. 1. ვ. კიულენენი (სსრ კავშირი), 2. პ. პარვანოვი (ბულგარეთი), 3. ხ. ნასიმურა (იაპონია) და პ. მუნხიინი (მონგოლეთი).

62 კგ. 1. ა. ხოში (სსრ კავშირი), 2. კ. კასივასაკი (იაპონია), 3. გ. გეორგიევი (ბულგარეთი) და ს. დარჟიინი (მონგოლეთი).

66 კგ. 1. კ. გერასიმოვი (სსრ კავშირი), 2. ბ. ბაკხაავაა (მონგოლეთი), 3. გ. დიმირიანოვი (ბულგარეთი) და ლ. სანტანო (ესპანეთი).

70 კგ. 1. ვ. ნევზოროვი (სსრ კავშირი), 2. ბ. დომირანგიინი (მონგოლეთი), 3. კ. მიჩევი (ბულგარეთი) და ჰ. კურბელო (ესპანეთი).

75 კგ. 1. ა. ფიოდოროვი (სსრ კავშირი), 2. კ. კურამოტო (იაპონია), 3. უ. ჩოიდორჟი (მონგოლეთი) და ს. ტონჩევი (ბულგარეთი).

80 კგ. 1. ჩ. ეზერსკასი (სსრ კავშირი), 2. ლ. რონცევდორჟი (მონგოლეთი), 3. გ. ჩერვენკოვი (ბულგარეთი) და ს. ობადოვი (იუგოსლავია).

86 კგ. 1. ნ. ნასინაკა (იაპონია), 2. კ. რომანოვსკი (სსრ კავშირი), 3. ს. მორალესი (ესპანეთი) და რ. ბარაკლოში (დიდი ბრიტანეთი).

93 კგ. 1. ნ. სატო (იაპონია), 2. ვ. რუხლიადევი (სსრ კავშირი), 3. ბ. გალდანდაგვა (მონგოლეთი) და ი. დოკტოროვი (ბულგარეთი).

100 კგ. 1. ს. ნოვიკოვი (სსრ კავშირი), 2. ხ. სირასე (იაპონია), 3. გ. გაჯანოვი (ბულგარეთი) და დ. დაშიინი (მონგოლეთი).

მძიმე. 1. ვ. კუზნეცოვი (სსრ კავშირი), 2. ე. აიზაი (იაპონია), 3. რ. კაიტი (დიდი ბრიტანეთი) და ე. ფილაბი (ირანი).

## „ქლორი, თავკომბალები და მომავალი სპორტსმენები"

ამ სათაურით 29 ოქტომბერს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო თბილისის განათლების განყოფილების საცურაო აუზში შექმნილ არანორმალურ პირობებზე. ამას წინათ ხაქალაქო სანეპიდემიოლოგიური სადგურიდან გვაცნობეს:

„წერილში მოყვანილი ფაქტები ადგილზე შემოწმებით ძირითადად დადასტურდა. საცურაო აუზში ხშირია წყლის ქლორირების რეჟიმის დარღვევის ფაქტები, როგორც მომატების, ასევე შემცირების მხრივ. ინვენტარისა და ტანსაცმლის შესანახი ინდივიდუალური კარადები მოითხოვს შეკეთებას და შეცვლას. საცურაო აუზს არ აქვს ფეხის წინასწარ დასაბანი აბაზანები და სხვ.

აუზის დირექტორს ამხ. ბასილაიას მოეთხოვა ახსნა-განმარტება ადმინისტრაციული სასჯელის დადების მიზნით, ხოლო რაიონის სანეპიდსადგურს მიეცა მტკიცე დავალება გააძლიეროს სანიტარული ზედამხედველობა ხსენებულ ობიექტზე და დარღვევათა გამოვლინების შემთხვევაში მიიღოს გადამჭრელი ზომები მათ აღმოსაფხვრელად".

ფეხბურთი

# ბევრი მოეთხოვებათ ფეხბურთელებსაც და მათს ხელმძღვანელებსაც

ამ დღეებში მოსკოვში გაიმართა უმაღლესი და I ლიგების გუნდების მწვრთნელთა საკავშირო კონფერენცია, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ლ. ზენჩენკო.

მან განაცხადა, რომ განვლილმა წელმა ჩვენს ფეხბურთის მოყვარულებს ვერ მოუტანა კმაყოფილება. მართალია, სსრ კავშირის ნაკრებმა ვერცხლის მედლები მოიპოვა ევროპის ჩემპიონატში და ბრინჯაოსი — ოლიმპიურ თამაშებში, ამას გარდა, საკლუბო გუნდები — კიევის „დინამო", მოსკოვის „სპარტაკი" და ერევნის „არარატი" წარმატებით თამაშობენ ევროპულ ტურნირებში, მაგრამ ის, რასაც მივაღწიეთ, ჯერ კიდევ შორსაა სასურველისგან. უფლება გვაქვს მოვთხოვოთ ჩვენს გუნდებს გაცილებით უკეთ ითამაშონ, ამისთვის კი საჭიროა გაიზარდოს საწვრთნელ დატვირთვათა ინტენსიურობა, მკვეთრად გაუმჯობესდეს დისციპლინა და გაცილებით მეტი ყურადღება დაეთმოს ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღზრდას.

ნაკრების მწვრთნელებს რატომღაც ნაკლებ მოთხოვნებს ვუყენებდით. მაგალითად, რატომ არ დაამყარეს მათ საქმიანი კონტაქტი ოსტატთა გუნდების ხელმძღვანელებთან, რატომ არ სწავლობდნენ თითოეული მოთამაშის ინდივიდუალურ თავისებურებებს, რატომ ცვლიდნენ ასე ხშირად შემადგენლობას? ლ. ზენჩენკომ აღიარა, რომ ფეხბურთის სამმართველომ ყველაფერი ნაკრების მწვრთნელებს გადააბარა. ნაკრების ფეხბურთელებმა ძირითადი მზადება თავიანთ კლუბებში უნდა გაიარონ. დაუშვებელია, რომ ვარჯიში ამხანაგური შეხვედრებით იცვლება. სწორედ ამ მანკიერი პრაქტიკის გამო გაათავისუფლეს თანამდებობიდან მწვრთნელები ი. ბეცა (ასკ, დონის როსტოვი) და ი. ზოლოტუხინი („ურალმაში"). სსრ კავშირის ნაკრების წევრები ა. ბანიშევსკი („ნეფთჩი"), ნ. აბრამოვი („სპარტაკი"), ა. კონკოვი („შახტიორი") და სხვანი ნაკრებში არასათანადოდ მომზადებული მოდიოდნენ.

ზოგიერთი ფეხბურთელი უწინდებურად უხეშად არღვევს სპორტულ რეჟიმს. ამიტომ იყო, რომ შუა სეზონში დისკვალიფიკაცია მიეცათ ა. კოჟემაკინს („დინამო", მოსკოვი), ვ. კალინოვს („სპარტაკი"), ვ. გეტმანოვს (ასკ, დონის როსტოვი), სერიოზული გაფრთხილება მიეცათ ა. ესკოვს და ბ. სეროსტანოვს (ორივე — ასკ, დონის როსტოვი).

ფეხბურთელის პირად პასუხისმგებლობაზე ილაპარაკა მოსკოვის „სპარტაკის" უფროსმა მწვრთნელმა ნ. სიმონიანმა. მისი აზრით, საკავშირო ჩემპიონატში ამ გუნდის წარუმატებლობა ზოგიერთი მოთამაშის მხრივ დისციპლინის დარღვევითა და წვრთნისადმი არასერიოზული დამოკიდებულებითაც უნდა აიხსნას.

— მკაცრად უნდა მოვექცეთ ფეხბურთელებს. — განაცხადა „ფახტაქორის" უფროსმა მწვრთნელმა ვ. სოლოვიოვმა. — გვიპასუხონ კოზინკევიჩმა („კარპატი"), კონკოვმა, ბანიშევსკიმ და სხვებმა, ასე უნებისყოფოდ რატომ ატარებდნენ მატჩებს? ჩვენ გავათამამეთ ფეხბურთელები. ამას გარდა, სწორად ითქვა, რომ ნაკრების ხელმძღვანელები კონტაქტში არ არიან დანარჩენ წამყვან მწვრთნელებთან. მწვრთნელთა საბჭო ხომ არც შეკრებილა.

— ჩვენი გუნდების უხეირო თამაშის გამო კალენდარული მატჩების დროს სტადიონების ტრიბუნები ცარიელია,— აღნიშნა საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ივონინმა, — თუმცა ჩვენში ფეხბურთი საყოველთაო სიყვარულის საგანია. სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ხარისხი კლუბებში დაბალია, ბევრი ფეხბურთელი მატჩებს უგულოდ ატარებს. ამისთვის მოთამაშეებმაც და მწვრთნელებმაც თანაბრად უნდა აგონ პასუხი. გუნდმა შეიძლება წააგოს, მაგრამ წაგებაც ღირსეულად უნდა იცოდეს და არა ისე, როგორც ზოგჯერ ჩვენი ნაკრები აგებდა. იმედი გვაქვს, ახალი ინსტრუქცია მოთამაშეთა გადასვლის თაობაზე დაგვეხმარება წესრიგის დამყარებაში, აიძულებს დისციპლინის დამრღვევებს ჩაუფიქრდნენ შექმნილ მდგომარეობას. უწინდებურად დამაფიქრებელია მწვრთნელთა კადრების დენადობა. ფეხბურთის სამმართველომ ამ პრობლემას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს. ასევე სრული სერიოზულობითაა საჭირო ნაკრების დაკომპლექტება, შენარჩუნებული უნდა იქნეს ჩემპიონატის სტრუქტურა, არ უნდა დავარღვიოთ თამაშების კალენდარი.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების სექტორის გამგე ბ. გონჩაროვი.

## ევროპულ ორბიტაზე

ჰოლანდიის „აიაქსმა" 29 ნოემბერს ამსტერდამში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალის განმეორებითი მატჩი მოუგო ბულგარეთის ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამეს" — 3:0 და ვინაიდან პირველი თამაშიც მოგებული ჰქონდა (3:1), გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა. 29 ნოემბრის მატჩში ორი ბურთი კრუიფმა გაიტანა.

29 ნოემბერს გაიმართა აგრეთვე უეფა-ს თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩები:

„ტოტენჰემი" (ლონდონი, ინგლისი) — „ცრვენა ზვეზდა" (ბელგრადი, იუგოსლავია) 2:0

„ტვენტე" (ენსხედე, ჰოლანდია) — „ლას-პალმასი" (ესპანეთი) 3:0

„ოკფ-ბელგრადი" (იუგოსლავია) — „ბეროე" (ბულგარეთი) 0:0

„პორტუ" (პორტუგალია) — „დინამო" (დრეზდენი, გდრ) 1:2

„ვიტორია" (სეტუბალი, პორტუგალია) — „ინტერნაციონალე" (მილანი, იტალია) 2:0

„დინამო" (ბერლინი, გდრ) — „ლივერპული" (ინგლისი) 0:0

„კიოლნი" (გფრ) — „ბორუსია" (მენჰენგლადბახი, გფრ) 0:0



სურათზე: „არარატისა" და „კაიზერსლაუტერნის" შეხვედრის მომენტი (29 ნოემბერი, „რაზდანის" სტადიონი). მარცხნივ — გფრ-ის გუნდის მცველი ფუქსი, მარჯვნივ — ერევნელი ნახევარმცველი პეტროსიანი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ფეხბურთი ფეხბურთი

# გვესაუბრებიან მწვრთნელები

დღეს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება უეფა-ს თასის გათამაშების ოფიციალური შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და თურქეთის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

„ლელოს" კორესპონდენტი ა. რონდელი ესაუბრა თურქეთის ნაკრების მწვრთნელს ნეჩდეთ კაია ნიშს და სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელს ე. ლიადინს.

გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

### დიალოგი ნ. ნიშთან:

● რა ხანია წვრთნით თურქეთის ჭაბუკთა ნაკრებს?

— სულ თვენახევარია, რაც გუნდი ჩავიბარე.

● როგორ ხდება მოთამაშეთა არჩევა თქვენს ქვეყანაში ჭაბუკთა ნაკრებისთვის და გუნდის დაკომპლექტება?

— ყოველ პროფესიულ კლუბს ჰყავს ჭაბუკთა გუნდები. ისინი ყოველ წელიწადს ასპარეზობენ და ფინალში გასულნი, როგორც წესი, მოთამაშეებს აწვდიან ნაკრებს. ამ ნაკრებში, რომელსაც თბილისელი მაყურებელი იხილავს, წარმოდგენილი არიან ცხრა გუნდის მოთამაშეები. ეს კლუბებია: „იზმირსპორი" (4 მოთამაშე), „ანკარა გენჩლერ ბირლიქი", „ბურსასპორი", „ანკარაგიუჯუ" (2-2 მოთამაშე), „გეზთეფე", „მანისასპორი", „სამსუნსპორი", „საქარიასპორი", „ოდემისპორი", „ალთაი" (1-1).

● რატომ არ არიან თქვენს გუნდში სტამბოლის ცნობილი კლუბების — „ფენერბახჩეს", „გალათასარაისა" და „ბეშიქთაშის" ფეხბურთელები?

— გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ კლუბებს ჭაბუკთა სუსტი გუნდები ჰყავთ და მათი მოთამაშეები არ გამოგვადგნენ. ახლა ყველაზე პერსპექტიული ჭაბუკების სამჭედლო ანკარა და იზმირი არიან.

● თუ გყავთ გუნდში ფეხბურთელები, რომლებიც თავიანთი კლუბების ძირითად შემადგენლობაში გამოდიან?

— ჩვენს ნაკრებში მხოლოდ ერთი ასეთი ფეხბურთელია — 17 წლის ისა ერთურქი, იზმირის „ალთაის" ნახევარმცველი. იგი ყველაზე გამოცდილი მოთამაშეა.

● სხვებს თუ აქვთ საერთაშორისო მატჩების გამოცდილება?

— სამწუხაროდ, ძალიან ცოტა. რვა მოთამაშე ამ ექვსი თვის წინ მონაწილეობდა ჭაბუკთა საერთაშორისო ამხანაგურ ტურნირში, რომელიც აუგსბურგში (გფრ) მოეწყო.

● რა შანსი აქვს თურქეთის ჭაბუკთა ნაკრებს ევროპულ ასპარეზობაში?

— ძლიერი მეტოქეები გვყავს: საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის გუნდები. უნგრეთის ჭაბუკთა ნაკრებში, მაგალითად, ისეთი პერსპექტიული ბიჭები არიან, რომ მოსალოდნელია ამ ქვეყნის „ოქროს ნაკრების" აღორძინება, როცა ისინი წამოიზრდებიან.

● მატჩის შედეგს ხომ არ იწინასწარმეტყველებთ?

— ამას თამაში გვიჩვენებს, თუმცა ვიცით, რომ ჩვენი ბიჭებისთვის ეს მატჩი იოლი არ იქნება. გაისად მარტში საპასუხო შეხვედრა თურქეთში მოეწყობა და იქ ვეცდებით კიდევ უფრო ძლიერი გუნდი გამოვიყვანოთ.

### დიალოგი ე. ლიადინთან:

● რა იცით მეტოქის შესახებ?

— არაფერი. პირველად ვხედავ თურქეთის ჭაბუკებს.

● ქვეჯგუფში ჩვენი ნაკრები თუ მიგაჩნიათ ფავორიტად?

— უდავოდ. მაგრამ უნგრეთსაც ძლიერი გუნდი ჰყავს.

● დღევანდელი მატჩის შესახებ რას იტყოდით?

— მხოლოდ ერთს: უნდა გავიმარჯვოთ. სხვანაირად არც შეიძლება. როცა შინ თამაშობ, სხვა გზა არა გაქვს.

● რატომ დაინიშნა ეს მატჩი თბილისში?

— მიზეზი რამდენიმეა. ერთ-ერთი ისაა, რომ აქ ამინდიც კარგია. გარდა ამისა, თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონი კარგად გვაქვს დაცდილი — 1970 წელს აქ პოლონელებს მოვუგეთ. საწვრთნელი შეკრება ოჩამჩირეში ჩავატარეთ. იგი იმიტომ ავირჩიეთ, რომ მყუდრო ადგილია და, რაც მთავარია, საფეხბურთო მინდვრის სრული ბატონ-პატრონი ვიყავით.

● თუ არის მზად გუნდი, თქვენი აზრით?

— სამწუხაროდ, საწვრთნელი შეხვედრების დროს დაგვიშავდა რამდენიმე მოთამაშე (პეტროსიანი, ვერეტინსკი და სხვები), თუმცა ჩვენი ექიმი ძალიან ცდილობს ფეხზე დააყენოს ისინი.

● რა სიძნელეები შეგხვდათ ნაკრების დაკომპლექტების დროს?

— სელექციის საკითხი ძალიან რთულია. მოთამაშეების პოვნა და „აღმოჩენა" გვიხდება პრიმიტიული საშუალებებით — სპეციალისტთა და მწვრთნელთა რჩევით. ვიმედოვნებ, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ფედერაცია ამ საქმეს მომავალში უფრო სერიოზულად მოეკიდება და ყოველწლიურად მოგვაწვდის პერსპექტიულ ჭაბუკებს.

● საკავშირო ნაკრებში ქართველი ჭაბუკებიც მუდამ არიან. ამჯერად თუ ითამაშებს ვინმე ქართველთაგან?

— ნაკრებში მოწვეული გვყავს რამდენიმე მოთამაშე საქართველოდან. დღევანდელ შეხვედრაში, ალბათ, ბათუმელი ესებუა ითამაშებს. სამწუხაროდ, იგი ცოტა ხნის წინ დაშავდა და თავს კარგად ვერ გრძნობს.

● შემადგენლობა როგორი იქნება?

— რა თქმა უნდა, შემადგენლობის 90 პროცენტი ჩემთვის ნათელია, მაგრამ იქნებ დაშავებულთაგან ვინმე დაგვიბრუნდეს ან ტაქტიკური ნახაზის შეცვლა დაგვჭირდეს...

## „სტარტის" პრიზი ■ დარღვევათა ცხრილი

ფეხბურთის მოყვარულებმა უკვე იციან, თუ რომელმა გუნდებმა და მოთამაშეებმა მიიღეს 1972 წლის საკავშირო ჩემპიონატის სპეციალური პრიზები. ცნობილი გახდა კიდევ ერთი პრიზის მფლობელი.

უკრაინულ სპორტულ ჟურნალ „სტარტს" დაწესებული აქვს პრიზი, რომელიც გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობისთვის ეძლევა გუნდს.

სსრ კავშირის ჩემპიონმა — ვოროშილოვგრადის „ზარიამ" მეტოქეთა კარში გაიტანა 52 ბურთი, ხოლო თვითონ 30 მიიღო. ამ მაჩვენებლით იგი „სტარტის" პრიზის მფლობელი გახდა.

• • •

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ შეაჯამა განვლილი ჩემპიონატის შედეგები გუნდებში მომხდარ დარღვევათა მიხედვით. აღსანიშნავია, რომ შარშანდელთან შედარებით დისციპლინის დარღვევათა შემთხვევებმა მკვეთრად იკლო.

წლეულს განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა ლვოვის „კარპატიში", რომლის მოთამაშე ე. კოზინკევიჩი ორჯერ გააძევეს მინდვრიდან და, ამას გარდა, გაფრთხილებაც აქვს მიღებული. კოზინკევიჩი დისკვალიფიცირებულია 5 კალენდარული მატჩით. ხშირად ხდება დარღვევა ცსკა-ში, „ყაირათში", „არარატსა" და „ზენიტში". ორ-ორი გაფრთხილება მიეცათ ვოროშილოვგრადელ სემიონოვს, მოსკოვის „ლოკომოტივის" მოთამაშე პისკუნოვს, სპარტაკელ ლოგოფეტს, ალმაათელ მიხაილინს. „ყაირათის" ფეხბურთელი როჟკოვი ორჯერ გააფრთხილეს და მინდვრიდანაც გააძევეს.

მოგვყავს სპორტტექნიკური კომისიის მიერ შედგენილი დარღვევათა ცხრილი. მესამე სვეტში ნაჩვენებია გაძევებათა რაოდენობა, მეოთხეში — გაფრთხილებები, მეხუთეში — საჯარიმო ქულათა რიცხვი (გაძევება უდრის 4, ხოლო გაფრთხილება 2 ქულას).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1-2 | „დინამო" კ. | 0 | 3 | 6 |
| | „დნეპრი" | 0 | 3 | 6 |
| 3-6 | „დინამო" თბ. | 0 | 4 | 8 |
| | ასკ | 0 | 4 | 8 |
| | „ლოკომოტივი" | 0 | 4 | 8 |
| | „დინამო" მ. | 1 | 2 | 8 |
| 7 | „ტორპედო" | 0 | 5 | 10 |
| 8-10 | „ზარია" | 0 | 6 | 12 |
| | „ნეფთჩი" | 0 | 6 | 12 |
| | „დინამო" მნ. | 1 | 4 | 12 |
| 11 | „სპარტაკი" | 0 | 7 | 14 |
| 12-13 | „არარატი" | 0 | 8 | 16 |
| | „ზენიტი" | 0 | 8 | 16 |
| 14 | „ყაირათი" | 1 | 8 | 20 |
| 15 | ცსკა | 1 | 10 | 24 |
| 16 | „კარპატი" | 2 | 9 | 26 |

## მსოფლიო ჩემპიონატის რეგლამენტი დამტკიცდა

ამ დღეებში დიუსელდორფში (გფრ) შედგა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო პრობლემები. განხილული იქნა შეჯიბრების ჩატარების სისტემა, კალენდარი და სხვა საკითხები.

დიუსელდორფში საბოლოოდ დამტკიცდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ჩატარდება ორ ეტაპად, წრიული სისტემით. 16 ფინალისტი განაწილდება ოთხ ჯგუფში და თითოეულში 4 გუნდი იქნება. კენჭისყრა მოეწყობა 1974 წლის იანვარში, მაინის ფრანკფურტში, როცა ყველა ფინალისტი გამოვლინდება. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ორი ფინალისტი — ბრაზილია და გფრ. გფრ-ის ნაკრებს მიეკუთვნა № 1, ხოლო ბრაზილიისას — № 6. ბრაზილიელები მსოფლიო ჩემპიონატს გახსნიან 13 ივნისს მაინის ფრანკფურტში, ხოლო გერმანელები 14 ივნისს ითამაშებენ.

პირველი ეტაპის მატჩები ჩატარდება 13-დან 22 ივნისამდე. შემდეგ ყოველი ჯგუფიდან 2-2 გუნდი განაგრძობს თამაშს მეორე ეტაპზე, სადაც 8 გუნდი კვლავ დაიყოფა ორ თანაბარ ჯგუფად. მეტოქეები აქაც წრიული სისტემით ითამაშებენ. ეს მატჩები ჩატარდება 26 ივნისიდან 3 ივლისამდე. ორი გამარჯვებული 7 ივლისს მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე გაითამაშებს ჩემპიონატის ოქროს მედლებს და ახალ პრიზს — ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასს.

6 ივლისს მიუნხენშივე შედგება მატჩი III ადგილისთვის.

მსოფლიო ჩემპიონატებში პირველად გათამაშდება მედლების ოთხი კომპლექტი. ჩემპიონებს გადაეცემათ ოქროს მედლები, II ადგილზე გასულ გუნდს — მოოქროვილი ვერცხლის მედლები, III ადგილზე გასულს — ვერცხლის, ხოლო IV ადგილზე გასულ გუნდს — ბრინჯაოს მედლები.

გამოცხადდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ თამაშებზე ბილეთების გაყიდვა დაიწყება 1973 წლის 2 აპრილიდან. ფასი — 10-დან 80 მარკამდე.

ფიფა-ს პრეზიდენტმა ს. როუზმა რწმენა გამოთქვა, რომ ახალი სისტემა გაამართლებს, მაგრამ ისიც ცნობილი გახდა, რომ არგენტინელებს, რომელთა ქვეყანაშიც უნდა გაიმართოს მსოფლიოს შემდგომი ჩემპიონატი, განზრახული აქვთ წინადადება შეიტანონ ახალი სისტემის შესახებ. კერძოდ, მათ სურთ ფინალისტთა რაოდენობა ავიდეს 24-მდე ან 20-მდე მაინც. არგენტინელები თავიანთ ამ მოსაზრებას იმით ასაბუთებენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა რიცხვი სულ უფრო იზრდება, ხოლო ფინალისტთა რაოდენობა უცვლელი რჩება.

### თბილისის „დინამოს" მეორე გამარჯვება

კოლომბო, 30 ნოემბერი. შრი ლანკაში სტუმრად მყოფმა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა მეორე გამარჯვება მოიპოვეს, ამჯერად ამ ქვეყნის ნაკრებთან—7:0 (2:0). ბურთები გაიტანეს ლ. ნოდიამ (3), ყიფიანმა (2), ასათიანმა და ჰელიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთელ ვაჟთა გუნდების VII საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

# მარცხის სიმწარე ყველამ იწვნია

თბილისი. სპორტის სასახლე. 29 ნოემბერი.

**რუმინეთი** (ნაკრები) — **ჩეხოსლოვაკია** (ნაკრები) 12:14 (7:8).

მსაჯები — ი. ხმოლენგო და თ. ჩხარტიშვილი (ორივე — სსრ კავშირი).

ამ მატჩში უპირატესობა მხოლოდ თამაშის დასაწყისში იყო რუმინელთა მხარეს. მაგრამ ეს ცოტა ხანს გაგრძელდა. ჩეხოსლოვაკიელებმა შეხვედრის მე-10 წუთიდან შეძლეს მდგომარეობის გაწონასწორება, მერე დაწინაურდნენ კიდეც და მატჩის ბოლომდე მეტოქეებს ჩარხის წაღმა დატრიალების საშუალება არ მისცეს. უნდა ითქვას ისიც, რომ რუმინელებმა რამდენიმეჯერ შეძლეს ანგარიშში სხვაობის მინიმუმამდე დაყვანა, მაგრამ ეს იყო და ეს.

**სსრ კავშირი** (ნაკრები) — **საქართველო** (ნაკრები) 26:22 (11:11).

მსაჯები — ლ. კესტეხენიუ და ლ. მარკი (ორივე — რუმინეთი).

დიდხანს საგრძნობლად ვერც ერთი გუნდი ვერ დაწინაურდა. მხოლოდ შესვენების შემდეგ გახდა შესამჩნევი უპირატესობა სსრ კავშირის ნაკრებისა, რომელიც მატჩის დასასრულს 4 გოლის სხვაობაში გამოიხატა. შეუპოვარი ბრძოლით გამოწვეულ დიდ ფიზიკურ დატვირთვას სსრ კავშირის ნაკრების მოთამაშეებმა უკეთ გაართვეს თავი და უმთავრესად სწორედ ამან განაპირობა მათი გამარჯვება. ამ შეხვედრაში სსრ კავშირის ნაკრებიდან საუკეთესო ბომბარდირი იყო ვ. გასი, რომელმაც 11 გოლი გაიტანა. ამ მხრივ თავი ისახელა ჯ. ცერცვაძემაც, რომელმაც მეტოქეთა კარში ცხრაჯერ მოათავსა ბურთი.

30 ნოემბერი.

**გდრ** (ნაკრები) — **სსრ კავშირი** (ნაკრები) 18:17 (9:6).

მსაჯები—პ. ოვდალი და ქ. სვენსონი (ორივე — დანია).

გერმანელმა ხელბურთელებმა თამაშის სწორი გეგმა აირჩიეს: მათ მიზნად დაისახეს საბჭოთა გუნდის ლიდერის ვ. გასის იერიშების შეზღუდვა და ეს ამოცანა შეასრულეს კიდეც. მას ხან ერთი გერმანელი მცველი სდარაჯობდა, ხან მეორე, რის გამოც გასმა დიდი სარგებლობა ვერ მოუტანა გუნდს. რაც შეეხება საბჭოთა ნაკრების სხვა წევრებს, მათგან ვერც ერთმა ვერ აიყოლია თანაგუნდელები და საბოლოოდ კოლექტივი მარცხს შეურიგდა. აქამდე ტურნირის ერთადერთი დაუმარცხებელი ლიდერი იყო სსრ კავშირის ნაკრები, მაგრამ, როგორც ხედავთ, ამ მატჩის შემდეგ მანაც გაინაწილა შეჯიბრების მონაწილე სხვა გუნდების ბედი.

**ჩეხოსლოვაკია** (ნაკრები) — **საქართველო** (ნაკრები) 17:15 (9:9).

მსაჯები — კესტეხენიუ და მარკი.

მატჩის პირველი 10 წუთის განმავლობაში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო. საქართველოს ნაკრები ამ დროს 3 უპასუხო გოლით დაწინაურდა. ჩეხოსლოვაკიელები ამან წონასწორობიდან როდი გამოიყვანა. მათ თამაშის მსვლელობაში სწორი ანალიზი გაუკეთეს თავიანთ შეცდომებს და თანდათან დაიწყეს მდგომარეობის გაწონასწორება. შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე მათ ანგარიშიც გაათანაბრეს (7:7) და ორჯერ დაწინაურდნენ კიდეც (8:7, 9:8).

შესვენების შემდეგ სტუმრებმა ზედიზედ ოთხჯერ დალაშქრეს მასპინძელთა კარი და ამის შემდეგ უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ. ამ ტურნირში ეს მატჩი საქართველოს ნაკრებისთვის რიგით მეორე იყო. ორივე შეხვედრაში ქართველ ხელბურთელებს ფიზიკური გამძლეობა მხოლოდ თითო ტაიმისთვის ჰყოფნიდათ.

განვლილ მატჩში საქართველოს ნაკრებს შეიძლება არც წაეგო, რომ ჩვენი ხელბურთელების მიერ ნატყორცნ სამ შვიდმეტრიან საჯარიმოს მიზნისთვის მიეღწია. ჩეხოსლოვაკიელთაგან ყველაზე მეტი გოლი გაიტანა ი. განზელმა (5), ხოლო მასპინძელთაგან—ი. ფხაკაძემ (4).

* * *

სამი ტურის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები, რომლებმაც 4-4 ქულა დააგროვეს 3-3 ჩატარებულ მატჩში. გდრ-ისა და რუმინეთის კოლექტივებს 2-2 ქულა აქვთ (2-2 მატჩიდან). საქართველოს ნაკრებმა 2 შეხვედრიდან ქულაც ვერ აიღო.

ჯ. ენუქიძე.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი. შეტევაზეა ი. ფხაკაძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# დიდი კალათბურთის სარბიელზე

## დაწყვილდნენ...

მიუნხენში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩების კენჭისყრა კალათბურთელ ვაჟთა გუნდებისთვის.

მონაწილენი ასე დაწყვილდნენ: „აკადემიკი“ (ბულგარეთი) — „დინამო“ (რუმინეთი), „სტად ფრანსე“ (შვეიცარია) — ცსკა (სსრ კავშირი), „სიმენტალი“ (იტალია) — „რადიო კოხი“ (ავსტრია), „ბბც ეპინგი“ (ინგლისი) — „რეალ-მადრიდი“ (ესპანეთი), „მაკაბი“ (ისრაელი) — „ბიუს ლიერი“ (ბელგია), „პარტიზანი“ (ალბანეთი) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია). 1971-72 წლების თასის მფლობელი — ვარესეს (იტალია) „ინისი“ პირდაპირ მეოთხედფინალში ითამაშებს.

მეოთხედფინალური მატჩების კენჭისყრა დანიშნულია 18 დეკემბრისთვის.

## ... და პირველი მატჩიც

ჟენევა, 1 დეკემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ტურის მატჩში ცსკა-მ ანგარიშით 121:92 (67:43) დაამარცხა შვეიცარიის ექვსგზის ჩემპიონი „სტად ფრანსე“. სტუმრებს, რომლებიც უკვე ოთხჯერ ფლობდნენ ამ საპატიო ჯილდოს, აშკარა უპირატესობა ჰქონდათ.

ამ გუნდების საპასუხო მატჩი 3 დეკემბერს გაიმართება მოსკოვში.

## დიდი ტურნირის წინ

ზემოაღნიშნული შეჯიბრებისთვის მზადების პროგრამით ცსკა ამ რამდენიმე ხნის წინ ბულგარეთს ეწვია. უაღრესად დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოველების შეხვედრამ მასპინძელ არმიელებთან — ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამესთან“. ბრძოლა ერთობ მწვავე და დაძაბული იყო. პირველი ტაიმი მოსკოველებმა ერთი ქულით მოიგეს — 43:42. შესვენების შემდეგ მათ ხელიდან არ გაუშვიათ უპირატესობა და საბოლოოდ გამარჯვებას მიაღწიეს ანგარიშით 89:83.

ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ ბულგარელი პეტროვი (26 ქულა) და მოსკოველი ჟარმუხამედოვი (22).



ეს სურათი გადაღებულია ავსტრალიის ქალაქ მელბურნის „ოლიმპიკ პარკის“ სტადიონზე, როცა მასპინძლები — ვიქტორიის შტატის რეგბისტები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდს ხვდებოდნენ. მაყურებლებმა ამ რასისტული ქვეყნის წარმომადგენლების წინააღმდეგ დემონსტრაცია გამართეს, ზოგიერთი მათგანი მინდორზეც კი გავიდა და ჩხუბი აუტეხა სამხრეთ აფრიკის რეგბისტებს. ცხადია, საქმეში პოლიცია ჩაერია. ერთ-ერთი პოლიციელი თეთრი რაშითაც კი შეიჭრა მინდორზე..

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.






წლეულს შვეიცარიის მაღალმთიან საკურორტო ქალაქ დავოსში ჩასული იყო მოთხილამურე აკრობატების ჯგუფი, რომლის წევრები თავბრუდამხვევ ტრიუკებს აკეთებდნენ. ამ სურათზე სწორედ ორი აკრობატი მოთხილამურეა აღბეჭდილი. ისინი ჰაერში აიჭრნენ და თხილამურებით მალაყის შემდეგ დაბლა ეშვებიან.

რასაკვირველია, ამ ტრიუკების შესრულება ძალიან სარისკოა, მაგრამ ფულის გულისთვის რას არ გააკეთებს კაცი კაპიტალის სამყაროში!

იუნაიტედ პრესის ფოტო.

# ნორმატივები ცნობილია

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, გაისად, 24-26 აგვისტოს, დუისბურგში (გფრ) გაიმართება ევროპის გოგონათა და ჭაბუკთა II ჩემპიონატი მძლეოსნობაში. ევროპის მძლეოსნობის ასოციაციამ დაამტკიცა ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველებისთვის აუცილებელი ნორმატივები, თანაც განსაზღვრა საკვალიფიკაციო შედეგების ჩვენების ვადა — 1 მარტიდან 10 აგვისტომდე.

საკვალიფიკაციო ნორმატივები ასეთია:

ჭაბუკები. რბენა: 100 მ — 10,6; 200 მ — 21,6; 400 მ — 48,4; 800 მ — 1.52,0; 1500 მ — 3.51,0; 3000 მ — 8.25,0; 5000 მ—14.25,0; 2000 მეტრზე წინაღობებით — 5.50,0; 110 მეტრზე თარჯრბენი — 14,8; 400 მეტრზე თარჯრბენი — 53,8; სიმაღლეზე ხტომა — 203 სმ; სიგრძეზე ხტომა — 730 სმ; ჭოკით ხტომა — 470 სმ; სამხტომი — 15,20 მ; ბადროს ტყორცნა — 50 მ; შუბის ტყორცნა — 70 მ; უროს ტყორცნა — 58 მ; ბირთვის კვრა — 16 მ; ათჭიდი — 6600 ქულა; 10 კილომეტრზე სპორტული სიარული — 47 წუთი.

გოგონები. რბენა: 100 მ — 11,9; 200 მ — 24,5; 400 მ — 55,8, 800 მ — 2.11,0; 1500 მ — 4.30,0; 100 მეტრზე თარჯრბენი — 14,2; სიმაღლეზე ხტომა — 172 სმ; სიგრძეზე ხტომა — 6 მ; ბადროს ტყორცნა — 46 მ; შუბის ტყორცნა — 48 მ; ბირთვის კვრა — 14 მ; ხუთჭიდი — 3800 ქულა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ფეხბურთი

2 დეკემბერი

შესარჩევი მატჩი უეფა-ს თასზე

სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები — თურქეთის ჭაბუკთა ნაკრები

დასაწყისი 15 ს.

ბილეთები გაიყიდება თამაშის დღეს 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.
უე 04730